



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში:
საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში“ ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ახორციელებს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“. ის შეიძლება არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

შესავალი.....	3
მეთოდოლოგია და სტრუქტურა	3
სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული სისტემური პრობლემები.....	4
1. ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვაა სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით	6
1.1 სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი ინფორმაციის თავისუფლების კონცეფციაში, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით	6
1.2 სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება.	8
I. სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემის წესი (რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.	9
II. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროების წესი.	11
2. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრაქტიკული ასპექტები.	12
2.1. გადაწყვეტილების იდენტიფიცირების ფორმა და მონაცემთა დეპერსონალიზაცია.....	13
III. გადაწყვეტილების მოთხოვნა სახელისა და გვარის მითითებით.....	14
IV. იდენტიფიცირების ფორმა: გადაწყვეტილების ნომრის მითითებით.....	15
V. იდენტიფიცირების ფორმა: გვაროვნული ნიშნის მითითებით	16
VI. გადაწყვეტილების დეპერსონალიზაციის ფარგლები	18
2.2. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა მონაცემთა სუბიექტების მიხედვით	18
2.3. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა საქმეთა კატეგორიის მიხედვით. 20	
2.4. სასამართლოს მიდგომები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით.....	20
3. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკისა მიმართება საქართველოს კონსტიტუციასთან.....	23
3.1. სასამართლოს სხდომის საჯაროობა და სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით.....	23
3.2. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები.....	25
I. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლება და უფლების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის კონტექსტში	26
II. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და სასამართლოსადმი ნდობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული სიკეთე.....	28

შესავალი

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნით არაერთხელ მიმართა საერთოს სასამართლოებს. აღმოჩნდა, რომ საერთო სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა საზოგადოების ინტერესში შემავალი არაერთი გადაწყვეტილების მიღება. მაგალითისთვის, ჩვენ ვერ შევძელით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, და არაერთი მაღალი პოლიტიკური პირის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიღება. ამგვარი წესრიგი, შესაძლოა არსებით საფრთხეს უქმნიდეს სასამართლოს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, აგრეთვე გამოხატვის თავისუფლების უფლების ჯეროვან რეალიზებას. ამდენად, ჩვენ გადაწყვიტეთ სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა.

მეთოდოლოგია და სტრუქტურა

მოცემული ანალიზი ემყარება სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა და გამოვლენილი პრობლემებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიტიკურ-სამართლებრივ ანალიზს. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის არსებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით ჩვენ გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია საერთო სასამართლოთა სისტემაში შემავალი სასამართლოებიდან, ხოლო მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი და აღნიშნული უარის დასაბუთება გავაანალიზეთ მოქმედი კანონმდებლობის კონტექსტში.

ჩვენთვის ცხადია, რომ სასამართლო სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემისას მოქმედებს/უნდა იმოქმედოს არსებული ნორმატიული წესრიგის პირობებში. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის საერთო დონეს განმსაზღვრელი ვერ იქნება მხოლოდ საერთო სასამართლოების პრაქტიკა, შესაბამისად, სასამართლოს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკა ვერ ჩაითვლება არსებული პრობლემების გამომწვევ ერთადერთ მიზეზად. ამდენად, უპირველესად ჩვენ მიმოვიხილავთ სასამართლოს პრაქტიკიდან გამოკვეთილი პრობლემების სამართლებრივ რეგულირებას, ხოლო შემდეგომ შევხებით, სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებულ იმ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია მოქმედი კანონმდებლობის არამართლოზომიერი განმარტებით, ან წარმოადგენს დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას.

საბოლოოდ ჩვენ მიმოვიხილავთ მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული სისტემური პრობლემები

მოქმედი კანონმდებლობის თვალსაზრისით (კანონმდებლობა 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით)

- მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას განიხილავს, როგორც ორდინალურ საჯარო ინფორმაციას და მასზე ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ზოგადი წესები და არ არის გათვალისწინებული მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლოსადმი ნდობის ლეგიტიმური ინტერესები;
- სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის გამიჯვნა არ ხდება სამართლებრივი ურთიერთობის მიხედვით. არსებითად განსხვავებული სამართლებრივი ბუნების, კატეგორიის, საქმეებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით დადგენილია გამჟღავნების ერთგვარი სტანდარტი;
- ღია სასამართლოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, ზოგადი წესით, არის დახურული.
- კანონმდებლობით დადგენილია, ნორმატიული ბალანსი სამართლებრივ სიკეთეებს შორის და არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების შესაძლებლობა;
- არსებულ წესრიგში, ფაქტობრივად, უპირობო უპირატესობა ენიჭება პერსონალური მონაცემების დაცვას. არ არის გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემის წესი, თუ ის შეიცავს განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული პერსონალური მონაცემს.

სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული პრობლემები

- საერთო სასამართლოები ფართოდ განმარტავენ პერსონალური მონაცემის ცნებას და დეპერსონალიზაციის შეუძლებლობას;
- გაცემული გადაწყვეტილებების დეპერსონალიზაციისას, რიგ შემთხვევებში, იფარება, აგრეთვე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და

კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სახელმწიფო წარმომადგენლები;

- საერთო სასამართლოები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას ავრცელებენ იურიდიულ პირებზე;
- საერთო სასამართლოები უარს ამბობენ სასამართლოს გადაწყვეტილებების გაცემაზე საკმარისი რესურსის არარსებობის გამო;
- საერთო სასამართლოებში, სავარაუდოდ, კვლავ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის შეთანხმებული შაბლონური ფორმები.
- რიგ შემთხვევებში, სასამართლოები ავლენენ განსხვავებულ მიდგომებს, განმცხადებელ (საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ) სუბიექტებთან (ფიზიკური და იურიდიული პირებთან) მიმართებით.

1. ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

საერთო სასამართლოს გამჭვირვალობასა და სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობებს არეგულირებს არაერთი საკანონმდებლო აქტი, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონი.

ანგარიშის ამ ნაწილში, ჩვენ განვიხილავთ ჩამოთვლილ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების იმ ნაწილებს, რომლებიც არეგულირებს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან, აგრეთვე დაკავშირებულ ურთიერთობებს, საერთო სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შედეგად გამოვლენილი ნორმატიული პრობლემების კონტექსტში. ხოლო, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სამართლებრივ რეგულირების შესახებ ვისაუბრებთ [მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონსტიტუციურობის შეფასების კონტექსტში](#).

1.1 სასამართლოს გადაწყვეტილების ადგილი ინფორმაციის თავისუფლების კონცეფციაში, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ სამართლებრივ დავაზე ან/და დავის ნაწილზე, სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს, გადაწყვეტის დოკუმენტურ გამოხატულებას. ეს დოკუმენტი, წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს რომელიც დაცულია საჯარო დაწესებულებაში. ამდენად, ეს დოკუმენტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “მ” ქვეპუნქტის თანახმად,¹ მიეკუთვნება საჯარო ინფორმაციას. საჯარო ინფორმაციის გაცემის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების გამოყენებით მოქმედი კანონმდებლობა იძლევა სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნის შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილების

¹ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი: საჯარო ინფორმაცია - „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია“.

ხელმისაწვდომობაზე ვრცელდება საჯარო ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის საფუძვლებიც.

საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განმტკიცებულია საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ. მსგავს ჩანაწერს შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლიც. ამასთან აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 პრიმა მუხლი ადგენს სასამართლო სხდომების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების სტანდარტებს.² აღსანიშნავია, რომ ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც მოცემული მუხლი პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე ადგენს, შეეხება დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღების, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის აკრძალვას მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. შესაბამისად, ცხადია, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, სხდომის ვიდეო, აუდიო ჩანაწერის გავრცელება შესაძლებელია რაიმე სახის შეზღუდვის არსებობის გარეშე.

მოსამართლე ვალდებულია პროცესის მონაწილეებს პროცესის დასაწყისში განუმარტოს მათი საპროცესო უფლებები და ვალდებულებები, ხოლო საპროცესო კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააყენონ შუამდგომლობა პროცესის დახურვის შესახებ. სხვაგვარად, სასამართლო ინდივიდუალურ შემთხვევებში, თითოეული საქმესთან დაკავშირებით მსჯელობს რამდენად არსებობს სხდომის დახურვის ინტერესი, შესაბამისად, აფასებს, განსახილველ შემთხვევაში, რომელ სიკეთეს უნდა მიენიჭოს უპირატესობა (სასამართლოს გამჭვირვალობას თუ კონფლიქტურ ლეგიტიმურ ინტერესებს - პერსონალური მონაცემების დაცვა და ა.შ). ღია სასამართლო სხდომის შედეგად, როგორც წესი მყდავნიდება ბევრად მეტი პერსონალური მონაცემი ვიდრე ეს აისახება სასამართლოს შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში.

² „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13 პრიმა მუხლის მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩანაწერა. ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერა.

ამდენად ჩვენთვის გაუგებარია, ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების დახურვა. საჯარო განხილვისა და საჯარო განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას შორის ურთიერთმიმართების შესახებ [ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ.](#)

მიუხედავად, სხდომებს საჯაროობის კონსტიტუციური პრინციპისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება მიეკუთვნება ორდინალურ საჯარო ინფორმაციას. შესაბამისად, მის გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების შემზღუდავი საერთო საფუძვლები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.“ ციტირებული ნორმა, გამოყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის რამდენიმე საფუძველს, კერძოდ, პერსონალური მონაცემების, აგრეთვე სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების დაცვას. საერთოს სასამართლოებიდან მოთხოვნილი ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ ღია სასამართლოს სხდომაზე გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მთავარი პრობლემას წარმოადგენს პერსონალურ მონაცემების დაცვა, ამდენად ჩვენ მიმოვიხილავთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კონტექსტში.

1.2 სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹ მუხლის შინაარსიდან³ და ამავე კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე საჯარო ინფორმაციის გამჟღავნებისას, თუ ის იმავდროულად შეიცავს პერსონალურ მონაცემებს დაცული უნდა იქნეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამდენად პერსონალური მონაცემების დაცვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის ურთიერთმიმართების დასადგენად მნიშვნელოვანია ხსენებული კანონის ანალიზი.

უპირველესად უნდა დადგინდეს კანონის მოქმედების ფარგლები და პერსონალური მონაცემების არსი ამ კანონის მიზნებისთვის. პერსონალურ

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹ მუხლის თანახმად, პერსონალურ მონაცემების ცნება, მათი დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით.

მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს“. სხვაგვარად, პერსონალური მონაცემი დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ პირთან. ამდენად, ამ კანონით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით გათვალისწინებული შეზღუდვები ვერ გავრცელდება იურიდიულ პირთან დაკავშირებული მონაცემების დაცვაზე.

ფიზიკურ პირების პერსონალური მონაცემების დაცვისთვის, კანონი ადგენს განსხვავებულ რეგულირებას პერსონალურ მონაცემის სუბიექტისა და პერსონალური მონაცემის კატეგორიის მიხედვით. კატეგორიის მიხედვით, პერსონალურ მონაცემებიდან გამოყოფილია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები.

I. სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემის წესი (რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს).

პერსონალური მონაცემების დამუშავების⁴ და გაცემის ზოგად წესს (რომლებიც არ მიეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს) განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი. აღნიშნული ნორმა შეიცავს, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ამომწურავ ჩამონათვალს, სადაც, სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობა სახელდებით არ არის მოხსენიებული. მიუხედავად, ამისა აღნიშნული მუხლის „ბ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები განსაზღვრავს სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა გამოყენებით პერსონალური მონაცემების შემცველი გადაწყვეტილების გაცემა შესაძლებელია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის „ბ“ ქვეპუნქტი ორდინალური კატეგორიის პერსონალური მონაცემის დამუშავების საფუძველია კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ, თუ კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემის გამჟღავნების შესაძლებლობას. ვფიქრობთ, ერთერთ, ამგვარ შემთხვევას წარმოადგენს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება. კერძოდ, აღნიშნულ პირთა მონაცემების დამუშავება

⁴ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “დ” ქვეპუნქტის თანახმად პერსონალური მონაცემების დამუშავება არის “მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;”.

გათვალისწინებულია კანონით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად პერსონალური მონაცემის შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების დამუშავება დასაშვებია თუ „კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა“. ხოლო, ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად“.

ვფიქრობთ, აღნიშნული ნორმები ერთ შემთხვევაში, შეიძლება მიემართებოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინს. კერძოდ, როდესაც მონაცემთა სუბიექტს არ/ვერ ექნება პერსონალური მონაცემების დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ვინაიდან კანონის მოთხოვნით ეს მონაცემების უკვე საჯაროა, ან თავად სუბიექტმა გახადა საჯარო. „ზ“ ქვეპუნქტი, მონაცემის დამუშავების ერთერთ შემთხვევად ითვალისწინებს „საჯარო ინტერესის დაცვას“. ერთი წაკითხვით ეს ნორმა იძლევა, იმგვარი განმარტების შესაძლებლობას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება თუ იგი არ შეიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, შეიძლება გაიცეს საჯარო ინტერესის არსებობისას, თუმცა ეს ნორმა იმავდროულად, მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, ამდენად ბუნდოვანი ხდება ამ ნორმის დანიშნულება. კერძოდ, გაურკვეველი რას გულისხმობს ტერმინი „კანონის შესაბამისად“, ვინაიდან თუ იგი მოიაზრებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას, ეს ყოველგვარი საჯარო ინტერესი არსებობის გარეშე მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, შესაბამისად პერსონალური მონაცემის დამუშავების დამოუკიდებელი საფუძველია.

ამდენად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი იძლევა პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების (განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გარდა) გამჟღავნების შესაძლებლობას. თუმცა ამ მოთხოვნის საფუძვლის დამდგენი ნორმები, არის ბუნდოვანი და მათი გამოყენება ფაქტობრივად, მხოლოდ, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშია, შესაძლებელი. მაგ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლთან კავშირში.

II. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროების წესი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი აწესებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების განსაკუთრებულ რეჟიმს. ზოგადი წესის თანახმად, ამგვარი მონაცემის დამუშავება არის აკრძალული. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის ამომწურავ გარემოებებს, როდესაც პერსონალური მონაცემი შეიძლება დამუშავდეს. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი არ იცნობს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის დაცვის უფლების შეზღუდვის რაიმე სხვა ფორმას პერსონალური მონაცემის შემცველი (საჯარო ინფორმაციის) სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის კონტექსტში.

ამდენად, უმნიშვნელოდ იმისა ვინ არის მონაცემთა სუბიექტი და რამდენად მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი მონაცემის საჯაროობის მიმართ, მონაცემთა დაცვას ენიჭება უპირობო უპირატესობა სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით.

აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეიცავს გარკვეული სახის პერსონალურ ინფორმაციას, ჩვენ ვიღებთ ზოგად წესს, რომლის თანახმადაც სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული პერსონალური ინფორმაცია არის დახურული. ამასთან, როგორც ზემოთ მითითებული მსჯელობიდან ირკვევა, პერსონალური მონაცემების დაცვას, სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით ფაქტობრივად აბსოლუტური უპირატესობა ენიჭება.

2. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრაქტიკული ასპექტები.

სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრაქტიკული მხარის ანალიზის მიზნით, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ყველა სასამართლოს.⁵

სასამართლოების რაოდენობა	წერილების რაოდენობა	მოთხოვნების რაოდენობა	მიღებული პასუხების რაოდენობა	უარი პასუხზე
26	26	231	25	1

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა ემყარებოდა შემდეგ შინაარსობრივ სტრუქტურას.

გადაწყვეტილებების იდენტიფიცირების ფორმა	
1	გადაწყვეტილება, მხარის სახელისა და გვარის მითითებით.
2	გადაწყვეტილება საქმის ნომრის მითითებით.
3	გვაროვნული ნიშნით იდენტიფიცირებული გადაწყვეტილებები. ⁶

გადაწყვეტილების სუბიექტების (მხარეების) მიხედვით	
1	ფიზიკური პირები;
2	ფიზიკური პირები რომლებსაც, ეკავათ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობები.
3	იურიდიული პირები;

საქმის შინაარსის მიხედვით	
1	გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეზე
2	გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ საქმეზე
3	გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეზე

⁵ გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოსა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოსი

⁶ გვაროვნულ ნიშანში ვგულისხმობთ, სხვადასხვა ნიშნით იდენტიფიცირებულ გადაწყვეტილებ(ებ)ს. მაგ. გადაწყვეტილებებს იდენტიფიცირება, დროის პერიოდის, საქმის კატეგორიის, საქმის შედეგის და ა.შ მითითებით.

მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად, გამოირკვა სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები. პრაქტიკის შეფასების თვალსაზრისით, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობის პრაქტიკულ გამოყენებაზე. ამასთან როგორც, ზემოთ იქნა დასაბუთებული სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემა მომდინარებს საქართველოს კანონმდებლობიდან. ჩვენთვის, ცხადია რომ საჯარო ინფორმაციის გაცემისას სასამართლომ უნდა იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამდენად, საერთო სასამართლოების მიერ გაცემულ ინფორმაციის სისრულეს აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთების მართლზომიერებას შევაფასებთ მოქმედი კანონმდებლობის პირობებში.

2.1. გადაწყვეტილების იდენტიფიცირების ფორმა და მონაცემთა დეპერსონალიზაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლოს გადაწყვეტილებების გაცემისთვის დადგენილი განსაკუთრებული წესი არ არსებობს, ამდენად მასზე ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, პერსონალურ მონაცემთა გაცემის, გასაჯაროების აკრძალვის ზოგადი წესი. აღნიშნულ კანონი, პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტის გაცემის ერთერთ შესაძლებლობად ითვალისწინებს მონაცემების დეპერსონალიზაციას, პერსონალური მონაცემების ე.წ. დაშიფვრას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. გადაწყვეტილების დეპერსონალიზაცია, ფაქტობრივად ერთადერთი გზაა სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად. პრაქტიკის ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ მოთხოვნილი გადაწყვეტილების იდენტიფიცირების ფორმა, გავლენას ახდენს, მონაცემთა დეპერსონალიზაციის შესაძლებლობაზე და ამდენად, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ერთერთი წინაპირობაა.

IDFI-მ სასამართლოს გადაწყვეტილებების იდენტიფიცირების მიზნით გამოიყენა სამი ფორმა, მხარეების სახელებისა და გვარების მითითებით, გადაწყვეტილების ნომრით, გვაროვნული ნიშნის მითითებით. ქვემოთ, განვიხილავთ სასამართლოს მიდგომებს თითოეულ მათგანთან მიმართებით მონაცემთა დეპერსონალიზაციის კონტექსტში.

III. გადაწყვეტილების მოთხოვნა სახელისა და გვარის მითითებით

მონაცემთა, დეპერსონალიზაციისას ხდება პერსონალური მონაცემების დაშიფვრა. აღნიშნული ინსტიტუტის არსს წარმოადგენს გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაციის სუბიექტის ანონიმურად დატოვება, კერძოდ, დოკუმენტის მიმღებმა ვერ უნდა შეძლოს ან მნიშვნელოვნად გაურთულდეს, მონაცემების დაკავშირება კონკრეტულ ფიზიკურ პირთა. გადაწყვეტილების მოთხოვნა სახელისა და გვარის მითითებით, გულისხმობს რომ გადაწყვეტილების მიმღებისთვის წინასწარ არის ცნობილი მონაცემთა სუბიექტი ამდენად, გადაწყვეტილების დაშიფვრის შემთხვევაშიც კი ის მარტივად შეძლება დოკუმენტით გამჟღავნებული მონაცემების დაკავშირებას კონკრეტულ პირთან. საერთო სასამართლოების პრაქტიკა სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება. საერთო სასამართლოების საჯარო ინფორმაციას პასუხის გამცემ პირთა აბსოლუტურმა უმრავლესობა, სახელისა და გვარის მითითებით მოთხოვნილი გადაწყვეტილების იდენტიფიცირებისას სწორედ ამ დასაბუთებაზე მიუთითებს.

საილუსტრაციოდ იხ. ამონარიდი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხიდან.

მითითებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ან სხვა შემაჯამებელი აქტების თუნდაც პერსონალური მონაცემების გარეშე - დაშტრიხული სახით თქვენთვის გადმოცემა არ არის დეპერსონალიზებული ფორმით ინფორმაციის გადმოცემის შემთხვევა, ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილია კონკრეტული პირების (სახელის და გვარის მითითებით) და კონკრეტული მხარეების შესახებ გადაწყვეტილებების ან სხვა შემაჯამებელი აქტების გადმოცემა, სასამართლოს მხრიდან თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შეუძლებელია პერსონალურ მონაცემთა ანონიმიზირება. ამდენად, მხარეთა (ერთდროულად ორივე მხარის) წინასწარი წერილობითი თანხმობის არარსებობის პირობებში, მოკლებული ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

არსებული კანონმდებლობის პირობებში, ვფიქრობთ ამგვარი განმარტება მართებულია, იმ პირობებში თუ გადაწყვეტილების გაცემა დეპერსონალიზაციას საჭიროებს. კანონმდებლობა იცნობს პერსონალურ მონაცემის დამუშავების (მათ შორის, გაცემისა და გამჟღავნების) სხვადასხვა საფუძვლებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად მონაცემები შეიძლება დამუშავდეს თუ ეს აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. აღნიშნული ნორმა ქმნის, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილებებში არსებული პერსონალური მონაცემის (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებისა) გამჟღავნების ერთერთ საფუძველს. კერძოდ, გადაწყვეტილება შეიძლება გაიცეს პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე თუ არსებობს ამ მონაცემის გამჟღავნების მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი.

ჩვენ, ფიზიკური პირის სახელისა და გვარის მითითებით, გამოვითხოვეთ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები, მათ შორის გადაწყვეტილებები, რომლებიც სავარაუდოდ არ შეიცავდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს (გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს არ ეკისრება ინფორმაციის მოთხოვნის მოტივის ან მიზნის დასაბუთება. მიუხედავად ამისა ამავე კოდექსით ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია საქმის სრულყოფილად გამოკვლევის ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ დეპერსონალიზაციის შეუძლებლობის მოტივით ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ პასუხში, სასამართლოს არ უმსჯელია, არც განმცხადებელთან გადაუმოწმებია ხომ არ არსებობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

ფიზიკური პირის სახელისა და გვარის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნისას, სასამართლოს უარს ამბობს გადაწყვეტილების გაცემაზე. სასამართლოს ამგვარი მიდგომა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა შეიძლება არსებობდეს გარკვეული გამოწვევები. კერძოდ, თუ გადაწყვეტილებაში არ არის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი და ამავე დროს არსებობს მონაცემის გამჟღავნების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, საქმე უნდა გაიცეს მონაცემთა სუბიექტის დაფარვის გარეშე.

IV. იდენტიფიცირების ფორმა: გადაწყვეტილების ნომრის მითითებით

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების პასუხი, მხოლოდ გადაწყვეტილების ნომრით იდენტიფიცირებულ საქმეების გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ შეიცავს ცალკე დასაბუთებას. ამდენად, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ გადაწყვეტილებების გაცემა გაიგივებულია სახელითა და გვარით პირის იდენტიფიცირებასთან. ჩვენთვის გაურკვეველია, სასამართლოს ამგვარი მიდგომა, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უკავშირდება სასამართლოების განრიგის ელექტრონულ ხელმისაწვდომობას, სადაც ხდება ჩანიშნული სხდომების იდენტიფიცირება მხარეთა სახელებითა და გვარებით და სადაც შესაძლებელია კონკრეტული საქმის ნომრის მოძიება.

სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით, ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ დადგინდეს დაშიფრული მონაცემთა სუბიექტის ვინაობა. გადაწყვეტილების ნომრის ვებგვერდის საშუალებით მოძებნა სწორედ

ერთერთი, მაგრამ არა ერთადერთი მეთოდია. ვფიქრობთ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დეპერსონალიზაციის ცნების არსი არ იცვლება ზოგადი თეორიული დაშვებებითა თუ განმცხადებელი შესაძლო ანალიტიკური უნარების მიხედვით. სწორედ ამიტომ, დეპერსონალიზაციის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს მოთხოვნის ფორმით და სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის ურთიერთმიმართების განსაზღვრის გზით. საქმის ნომერი, თავისთავად, მონაცემთა სუბიექტის პერსონალიზაციას შესაძლებლობას არ იძლევა. ხოლო ირიბი გზებით ამგვარი შესაძლებლობის დაშვება და ამ შესაძლებლობის გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმა, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომობას.

მიგვაჩნია რომ გადაწყვეტილების ნომრით მოთხოვნის იდენტიფიცირება, მონაცემთა დეპერსონალიზაციას აზრს ვერ დაუკარგავს. ამდენად, აღნიშნული მეთოდით მოთხოვნის ჩამოყალიბება არ უნდა იყოს გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის განმსაზღვრელი გარემოება.

V. იდენტიფიცირების ფორმა: გვაროვნული ნიშნის მითითებით

IDFI-იმ სასამართლოს გადაწყვეტილებების იდენტიფიცირების ერთერთ ფორმად გამოიყენა გვაროვნული ნიშანი. კერძოდ, ნიშანი რომელიც შეიძლება აერთიანებდეს რამდენიმე გადაწყვეტილებას. (მაგ. პირადი არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული დავები, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლთან დაკავშირებით დროის კონკრეტულ პერიოდში გამოტანილი გადაწყვეტილებები და ა.შ.)

მიღებული პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოთხოვნის ამ ფორმით ფორმირების შედეგად დეპერსონალიზაციის პრობლემა აღარ დგება, და პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით სასამართლო უარს არ ამბობს გადაწყვეტილებების გაცემაზე.

მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც სასამართლომ უარი განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე ადმინისტრაციული რესურსის არქონის გამო. საჯარო ინფორმაციის გაცემა წარმოადგენს საჯარო დაწესებულების ერთერთ ვალდებულებას და საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოყოს საკმარისი რესურსი კანონმდებლობით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული მოქმედების განსახორციელებლად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი რესურსის არ ქონის არგუმენტი, გამოყენებულ იქნა არა ინფორმაციის გაცემის ვადის დარღვევის „გამართლებისთვის“ არამედ ინფორმაციის გაუცემლობის

დასაბუთებისთვის. სხვაგვარად, რესურსის არქონის გამო სასამართლომ მოიხსნა პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

საილუსტრაციოდ იხ. ამონარიდი სენაკის რაიონული სასამართლოს პასუხიდან

შესაბამისად თქვენს მიერ გამოთხოვილი მასალების მოძიებისათვის საჭიროა საქმეების სისტემატიზაცია და საარქივო დამუშავება, რაც მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს, ამასთან მოგახსენებთ, რომ სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ტიპის საქმეების დამუშავება და ამ მიზნით სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალის ძირითადი რესურსების მობილიზება ამ ეტაპზე არ წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობისათვის აუცილებელ საჭიროებას.

აღსანიშნავია, რომ რესურსების არ ქონის არგუმენტზე მითითებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარი ექცემა სასამართლომ განაცხადა, ხოლო ოთხი მათგანი ტექსტობრივად იდენტურ, შაბლონურ დასაბუთებას იყენებს. კერძოდ, ტერმინი „ამასთან მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს, რისი განხორციელების საშუალება ამ ეტაპზე ... სასამართლოს არ გააჩნია“.

საილუსტრაციოდ შეადარეთ ამონარიდები ბოლნისის, ოზურგეთისა და ახალციხის რაიონული სასამართლოების პასუხებიდან.

ოზურგეთის რაიონული სასამართლო

გადაწყვეტილება/გაჩივება. ამასთან, მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს, რისი განხორციელების საშუალება ამ ეტაპზე ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს არ გააჩნია.

ბოლნისის რაიონული სასამართლო

მიღებული აქვს 284 გადაწყვეტილება/გაჩივება. ამასთან, მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს, რისი განხორციელების საშუალება ამ ეტაპზე ბოლნისის რაიონულ სასამართლოს არ გააჩნია.

ახალციხის რაიონული სასამართლო

აქვე, გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს, რისი განხორციელების შესაძლებლობა – ამ ეტაპზე ახალციხის რაიონულ სასამართლოს არ გააჩნია.

წარმოდგენილი არგუმენტაცია, ცხადყოფს, რომ გვაროვნული ნიშნით საქმეთა იდენტიფიცირებისას სასამართლო არ აქვს პერსონალურ მონაცემების დაცვის მოტივით გადაწყვეტილების გაუცემლობის საფუძველი, თუმცა რიგ შემთხვევებში უფლებამოსილი პირი უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე რესურსების არ ქონის გამო. სასამართლოების ამგვარი

დამოკიდებულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ამკვიდრებს საფრთხის შემცველ პრეცედენტს. რესურსების არ ქონის არგუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ საკითხთან მიმართებით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა. ამასთან, იდენტური პასუხები მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოს ადმინისტრაციულ დონეზე კვლავ არსებობს ე.წ. შეთანხმებული შაბლონების პრაქტიკა.

VI. გადაწყვეტილების დეპერსონალიზაციის ფარგლები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IDFI-იმ შეძლო გვაროვნული ნიშნით იდენტიფიცირებული გადაწყვეტილებების მიღება. ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, რომ საერთო სასამართლოები აგრეთვე ახდენენ სახელმწიფოს წარმომადგენლების დეპერსონალიზაციას (პროკურორები, ადმინისტრაციულ დავებზე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები). ზუგდიდის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ პასუხში კი, აგრეთვე დაფარულია საქმის განმხილველი მოსამართლე და სხდომის მდივანი.

მოქმედ კანონმდებლობაში, არ არის ცალსახა პასუხი, რა მოცულობით უნდა გავრცელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი სახელმწიფოს წარმომადგენელთა საქმიანობაზე, რომლებიც სამსახურეობრივი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებენ სახელმწიფო წარმომადგენლობას. თუმცა, აშკარაა რომ საქმის განმხილველი მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირის, რომელიც იმავდროულად „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირია, მონაცემები უნდა იყოს ღია.

2.2. საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა მონაცემთა სუბიექტების მიხედვით

არსებული კანონმდებლობის თანახმად, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში არსებული მონაცემები, გამჟღავნებისგან შეიძლება იყოს დაცული, სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნებით (პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოს დაცვა და ა.შ). გადაწყვეტილებების მხარეების (სუბიექტების) მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაციის დაყოფით ჩვენს მიზანს წარმოდგენდა გაგვერკვია, რამდენად მიჯნავს სასამართლო უფლების

მატარებელ სუბიექტებს ერთმანეთისგან. მოცემულ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ „იურიდიული პირების პერსონალური მონაცემების დაცვის“ საკითხზე.

ჩვენ გამოვითხოვეთ გადაწყვეტილებები იურიდიული პირების სახელების მითითებით, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე. სასამართლოებიდან მიღებული პასუხების ანალიზიდან ირკვევა, რომ რიგი სასამართლოები იურიდიულ პირს განიხილავს, როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებით მოსარგებლე პირს. შესაბამისად, გადაწყვეტილების იურიდიული პირის სახელწოდებით იდენტიფიცირებისას, სასამართლო მიუთითებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონზე და დეპერსონალიზაციის შეუძლებლობაზე.

საილუსტრაციოდ იხ. ამონარიდი თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხიდან.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობის წარმოდგენის გარეშე მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა იურიდიული პირის დასახელებით მოთხოვნილი გადაწყვეტილებების გაცემაზე.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, უფლების მატარებელი სუბიექტის იდენტიფიცირების მიზნით, იყენებს ტერმინს „ადამიანი“ და არა „პირი“. ამასთან, დაცულ სფეროს მიკუთვნებული ინფორმაცია ჯანმრთელობა, ფინანსები და კერძო საკითხები, ვფიქრობთ მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთან როგორც ფიზიკურ პირთან, რომელსაც, აქვს უნარი პიროვნულად აღიქვას მის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი, აქედან მომდინარე მატერიალური ზიანისა თუ სხვა სახის ნეგატიური შედეგებისგან დამოუკიდებლად. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მიდგომას იზიარებს კანონმდებლობაც, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი არ იცავს იურიდიული პირის პერსონალურ მონაცემებს.

აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის პერსონალური მონაცემები არ არის დაცული საქართველოს კანონმდებლობით. ბუნებრივია, იურიდიულ პირს აქვს უფლება არ გამჟღავნდეს მისი საგადასახადო ან/და კომერციული საიდუმლოება, მაგრამ მასზე ვერ გავრცელდება კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი დადგენილი გარანტიები. ამდენად, ვფიქრობთ, იურიდიული პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით სასამართლოს გადაწყვეტილების გაუცემლობა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და კონსტიტუციას.

2.3. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა საქმეთა კატეგორიის მიხედვით.

სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ურთიერთობები არსებითად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და სხვადასხვა ლეგიტიმური სიკეთის დაცვისკენ არის მიმართული. მაგალითისთვის, სისხლის სამართალი არეგულირებს საჯარო ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებს, სხვაგვარად, ამგვარი კატეგორიის საქმეთა ნუსხა, თავისთავად არის საჯარო ინტერესის მატარებელი, მაშინ როდესაც სამოქალაქო სამართალი ორ კერძო პირს შორის ურთიერთობებს მიემართება.

სასამართლოებმა გამოიყენეს ერთგვაროვანი მიდგომა სხვადასხვა კატეგორიის საქმეებთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ეს ვერ შეფასდება როგორც პრაქტიკის ხარვეზი, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არანაირ სხვაობას საქმის კატეგორიისა და სამართლებრივი ბუნების მიხედვით. არსებითად განსხვავებული სამართლებრივი შინაარსისა და ინტერესების მიუხედავად, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობაზე ვრცელდება ერთნაირი რეგულირება, რაც დამატებით საკანონმდებლო პრობლემად შეიძლება იქნეს შეფასებული.

2.4. სასამართლოს მიდგომები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით

ვინაიდან, IDFI წარმოადგენს ორგანიზაციულ გაერთიანებას იურიდიულ პირს, დაუშვით შესაძლებლობა, რომ სასამართლოს პრაქტიკა შეიძლება არ იყოს იგივე ფიზიკურ პირებთან მიმართებით. ამდენად, ჩვენს მიერ საერთო სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაცია გამოვითხოვეთ ხელახლა, ამჯერად, ფიზიკური პირის სახელით რომელიც არ იყო IDFI-სთან ასოცირებული პირი.

შედარების შედეგად გამოიკვეთა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან სასამართლოს მიდგომები არის ერთგვარი. მიუხედავად ამისა თბილისის საქალაქო სასამართლომ, აგრეთვე ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების პასუხებიდან იკვეთება აშკარად განსხვავებული მიდგომა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. კერძოდ, ინფორმაცია რომელიც აღნიშნული

სასამართლოებმა დაუბრკოლებლად მიაწოდეს IDFI-ს, არ გასცეს ფიზიკური პირის მოთხოვნის საფუძველზე.

შედარებისთვის იხ. ამონარიდები თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის გაგზავნილი მოთხოვნებიდან და სასამართლოს პასუხებიდან.

IDFI-ს მოთხოვნა

6. 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავით (სამოხელეო დანაშაულები) გათვალისწინებული დანაშაულების საფუძველზე გამოტანილი განაჩენების ასლები.



7. 2011 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის ივნისის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული დავებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ასლები.
8. იმ გადაწყვეტილებების ასლები, რომლებშიც მხარეს წარმოადგენს (ან საქმეში მესამე პირად ჩართულია) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.
9. 2011-2015 წლებში პირადი არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით შემოტანილ სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილებების ასლები.

სასამართლოს პასუხი IDFI-ის მოთხოვნაზე

რაც შეეხება მოთხოვნას გადმოგვით, სამოხელეო დანაშაულთან, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან, პირადი არაქონებრივ უფლებებთან, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების/განაჩენების ასლები, ასევე იმ გადაწყვეტილებების ასლები, რომლებშიც მხარეს წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, საჯარო ინფორმაციის სახით წარმოადგენთ ზემოაღნიშნული ნიშნით გამოტანილ ჩვენს მიერ მოპიებული გადაწყვეტილებების/განაჩენების ასლებს, პერსონალური მონაცემების გარეშე - დაშტრიხული სახით.

ფიზიკური პირის სახელით გაგზავნილი მოთხოვნა

2012 წლიდან 2015 წლამდე სასამართლოს მიერ სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.

2011-2016 წწ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან, აგრეთვე ნორმატიულ აქტების კანონიერებასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებების ასლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი ფიზიკურ პირს

თქვენი 2016 წლის 07 სექტემბრის N1495999 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012-2015 წლებში მიღებულ განაჩენების ასლებს სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით;
 - თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011-2016 წლებში მიღებულ გადაწყვეტილებების ასლებს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან და ნორმატიული აქტების კანონიერებასთან დაკავშირებულ საქმეებზე;
 - თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011-2016 წლებში მიღებულ გადაწყვეტილებების ასლებს პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე;
 - თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014-2016 წლებში მიღებულ განაჩენების ასლებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამო საქმეებზე.
- გაცნობთ, რომ თქვენ მიერ მითითებული კრიტერიუმებით გადაწყვეტილებების/განაჩენების აღრიცხვა და დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხდება, რის გამოც, მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, ქუთაისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლომ ფიზიკურ პირთან მიმართებით ასევე, საკმარისი რესურსის არარსებობის არგუმენტზე მიუთითა.

ამგვარი მიდგომა გამოიკვეთა მხოლოდ სამ სასამართლოსთან მიმართებით და ყველა სასამართლოზე განზოგადების შესაძლებლობას შეიძლება არ იძლეოდეს. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას რომ ფიზიკური და იურიდიული პირები თანაბრად სარგებლობენ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესურსის არარსებობის გამო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა, თავისთავად არის უკანონო ქმედება, თუმცა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის განსხვავებული მიდგომების გამოყენება, მნიშვნელოვნად აზარალებს სასამართლოსადმი ნდობას და აუარესებს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საერთო დონეს.

3. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკისა მიმართება საქართველოს კონსტიტუციასთან

საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს, რამდენიმე დებულებას, რომლებთანაც სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობას შეიძლება ჰქონდეს მიმართება. ვფიქრობთ, ამ დებულებებს მიეკუთვნება, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი - გამოხატვის თავისუფლება, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი - ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, 42-ე მუხლის პირველი პუნქტი - სამართლიანი სასამართლოს (სასამართლოსადმი ნდობის უფლება), 85-ე მუხლი სასამართლოში საქმის საჯარო განხილვის პრინციპი.

ვფიქრობთ, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის, აგრეთვე აღნიშნული უფლების მომწესრიგებელი კანონმდებლობის შესახებ მსჯელობისას აუცილებელია ამ უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ანალიზი.

3.1. სასამართლოს სხდომის საჯაროობა და სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.“ საქართველოს კონსტიტუციის ეს ნორმა განამტკიცებს სასამართლოს სხდომების საჯაროობის პრინციპს.

საჯარო სხდომა და სასამართლოს გადაწყვეტილება ტექნიკური თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავებული მოცემულობაა. თუმცა ეს სხვაობა, თავისთავად, სასამართლო სხდომებისა საჯაროობისა და საჯარო სხდომის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის მიმართ განსხვავებული რეგულირების არსებობის გამამართლებელი არგუმენტი ვერ იქნება. ამდენად, სხდომის საჯაროობისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართება უნდა განისაზღვროს მათი მატერიალური ბუნების გათვალისწინებით, კერძოდ, ლეგიტიმური მიზნებით, რომელთა მიღწევასაც აღნიშნული ინსტიტუტები ემსახურება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინტერესების, რომლებიც აღნიშნული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იზღუდება, აგრეთვე აღნიშნულ ინტერესთა შეზღუდვის დასაშვები ინტენსივობა და შეზღუდვის წესი.

პირის უფლება სასამართლომ მისი საქმე განიხილოს საჯაროდ წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილს და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი, ძირითადი უფლებებისგან დამოუკიდებლად განამტკიცებს სასამართლოში საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის ამგვარი რეგულირება მიუთითებს, რომ სხდომის საჯაროობა დამოუკიდებელი კონსტიტუციური სიკეთეა, რომელიც სხდომის საჯაროობას პროცესის მხარის საპროცესო უფლებების მიღმა მატერიალურ შინაარსს ანიჭებს. სხდომების საჯაროობა, სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის, აგრეთვე მართლმსაჯულების ხარისხის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა სასამართლოსადმი ნდობის და მისი ანგარიშვალდებულების უმთავრესი წინაპირობაა.

სხდომის საჯაროობა თავის თავში მოიაზრებს გარკვეული ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვას. კერძოდ, საჯარო სხდომის შედეგად შესაძლოა გამჟღავნდეს კონსტიტუციის სხვადასხვა უფლებებით ანდა უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმური ინტერესებს მიკუთვნებული ინფორმაცია. პერსონალური მონაცემები, კომერციული, საგადასახადო ან/და სახელმწიფო საიდუმლოება. სხდომის საჯაროობასთან კონფლიქტში მყოფი ლეგიტიმური ინტერესებიდან უნდა გამოიყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება, კერძოდ, სხდომის საჯაროობა წარმოუდგენელი იქნება პერსონალური მონაცემის გამჟღავნების გარეშე.

წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ სხდომის საჯაროობა, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საკუთარ თავში მოიაზრებს გარკვეული ლეგიტიმური ინტერესების შეზღუდვის საჭიროებას/დასაშვებობას. აქედან გამომდინარე ჩვენ მნიშვნელოვნად, მიგვაჩნია მართლმსაჯულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სხდომის შედეგად პერსონალური მონაცემების უფლების შეზღუდვის ინტენსივობის (მასშტაბისა და შეზღუდვის დონის) ანალიზი.

საჯარო სხდომაზე სასამართლოს განხილვისას ხდება ყველა იმ არგუმენტის, ინფორმაციის გამორკვევა, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება, მეტიც, როგორც წესი, სასამართლოს სხდომაზე მჟღავნდება ბევრად მეტი ინფორმაცია, ვიდრე ეს არის ასახული შემაჯამებელ აქტში. ამ ფონზე ჩვენთვის ბუნდოვანია, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის სასარგებლოდ დადგენილი კონსტიტუციური ბალანსის, შეზღუდული განმარტება და სასამართლოს აქტების მიღმა დატოვება. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად საქმის განხილვა არის ღია. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის საჯარო განხილვა წარმოუდგენელია გარკვეული

ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე. შესაბამისად, გონივრული იქნება ვიფიქროთ, კონსტიტუცია საქმის განხილვის ზოგადი წესის პარალელურად, ადგენს სასამართლოს სხდომაზე გამჟღავნებული ინფორმაციის საჯაროობას თუ არ არსებობს აღნიშნული ინფორმაციის დაფარვის მომეტებული ინტერესი. აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვის საჯაროობას და მართლმსაჯულების გამჭვირვალობას კონსტიტუცია არ ანიჭებს უპირობო უპირატესობას. კერძოდ, იგი ითვალისწინებს აღნიშნული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხდომის დახურვის სახით.

სასამართლოში საქმის განხილვა შესაძლოა გაიმართოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და ბუნებრივია, რიგ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს სხდომის დახურვის მომეტებული ინტერესი. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სხდომის დახურვის საფუძველი შეიძლება გახდეს, ყველა ის სიკეთე რაც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვა, საგადასახადო, სახელმწიფო, კომერციული საიდუმლოება. აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია ადგენს ბალანსის მექანიზმს მართლმსაჯულების გამჭვირვალობასა და სხვა კონფლიქტურ ინტერესებს შორის. აღნიშნულს მოსამართლე ამოწმებს საქმის განხილვისას, და ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებებს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ან რომელიმე სხვა კონფლიქტური ინტერესის სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ ინდივიდუალური საქმის განხილვისას, შეიძლება არ ჩათვალოს საჭიროდ სხდომის დახურვა და უპირატესობა მიანიჭოს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის კონსტიტუციურ ინტერესს, არსებული კანონმდებლობა ადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუცემლობის ზოგად წესს სხვა ინტერესების სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლი მოთავსებულია სასამართლო ხელისუფლების და არა კონსტიტუციის მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებების თავში, ამდენად ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურობის შეფასება ადამიანის ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმების კონტექსტში.

3.2. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებები

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად “ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და

გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით”. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად აღნიშნული ნორმა იცავს ინფორმაციის მიღებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან (მედია საშუალებები და ა.შ). ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის რეჟიმი უნდა განსხვავდებოდეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებში არსებული რეგულირებისგან. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური უფლების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტები შეიძლება დაცული იყოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში. ეს მიუთითებს, ცალკე გატანილი უფლებრივი სფეროს სპეციალური მოწესრიგების საჭიროებაზე, შესაბამისად, უფლების შეზღუდვის მართლზომიერება უნდა შეფასდეს სპეციალურ ნორმასთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებას, ამდენად ადგენს, გამოხატვის თავისუფლების ერთერთ უფლებრივ კომპონენტს, კერძოდ, სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღების უფლებას. სხვაგვარად, სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა მართალია, არის გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი, თუმცა მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში დამუშავებული აქტები (სასამართლოს გადაწყვეტილებები, განჩინებები, განაჩენები, სხდომის ოქმები და ა.შ) წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ დოკუმენტს, ამდენად, ამ აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის მართლზომიერება უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლთან და არა 24-ე მუხლთან მიმართებით.

I. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უფლება და უფლების შეზღუდვა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის კონტექსტში

სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით. აღსანიშნავია, რომ ეს პუნქტი იმავდროულად განსაზღვრავს სასამართლოს აქტების მიღების უფლების შეზღუდვის წინაპირობებს, სახელმწიფო, საგადასახადო ან/და კომერციული საიდუმლოება. ხოლო, ამავე

მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს ადამიანის კერძო საკითხებთან დაკავშირებული ხელშეუხებლობის უფლებას. ყოველი დასახელებული სიკეთე, პოტენციურად კონფლიქტში მოდის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის (სასამართლოს აქტების მიღების) უფლებასთან, ამასთან არცერთი მათგანი არ არის აბსოლუტური. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აქტების მიღების უფლების შეზღუდვა უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.

თანაზომიერების პრინციპი შედგება რამდენიმე ელემენტისგან. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ თავს ავარიდებთ ღირებულებით მსჯელობაში შესვლას და ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ გამოსადეგობის და აუცილებლობის ეტაპზე. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იმისთვის რომ შეზღუდვამ დააკმაყოფილოს კონსტიტუციის მოთხოვნები საჭიროა იგი არამხოლოდ ემსახურებოდეს ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, არამედ უნდა იყოს აღნიშნული მიზნის მიღწევის გამოსადეგი, ვარგისი საშუალება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე“. შესაბამისად, ამგვარი შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან, არა მხოლოდ სხდომაზე დამსწრე პირებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის არის შესაძლებელი თვალი ადევნონ პროცესის მიმდინარეობასა და მის ფარგლებში გაცხადებულ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ გარემოებებს. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა არ იცნობს შეზღუდვებს ამგვარი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით.

თანაზომიერების პრინციპის აუცილებლობის ელემენტი მოითხოვს, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების არ შეიზღუდოს იმაზე მეტად ვიდრე საჭიროა შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. როგორც სხდომის საჯაროობა, ისე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა ემსახურება მართლმსაჯულების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. საქმის განხილვისას, მოსამართლე აფასებს შესაბამისი საქმის გარემოებებს და ინდივიდუალური მიდგომით იღებს გადაწყვეტილებას სასამართლოს სხდომის საჯაროობის ან დახურვის შესახებ. კანონმდებლობა უკვე იცნობს ლეგიტიმური მიზნების (პერსონალურ

მონაცემების, სახელმწიფო საიდუმლოების და ა.შ დაცვის) მიღწევისთვის გამოსადეგ და უფლების ნაკლებად მზღლუდავ საშუალებას - მოსამართლის შესაძლებლობას იმსჯელოს სხდომის დახურვის შესახებ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სხდომის საჯაროობა აზრს უკარგავს პერსონალური მონაცემების, თუ სხვა ლეგიტიმური სიკეთეების დაცვას, შესაბამისად, აზრი ეკარგება სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას და დღეს არსებული პრაქტიკით აღნიშნული უფლების შეზღუდვა ხდება თვითნებურად.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და საერთო სასამართლოების პრაქტიკის თანახმად პერსონალურ მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის) დაცვას ენიჭება უპირობო უპირატესობა. მაგალითისთვის, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არცერთ გამონაკლის, როდესაც საჯარო ინფორმაციის სახით შეიძლება გაიცეს ინფორმაცია პირის სასამართლობასთან დაკავშირებით. მიუხედავად, იმისი რამდენად მაღალი საჯარო ინტერესი შეიძლება არსებობდეს ამგვარ მონაცემთან მიმართებით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასა და კონფლიქტურ ინტერესებს შორის ბალანსი არაპროპორციულად, მხოლოდ ერთი სიკეთის სასარგებლოდ არის დადგენილი არსებული სამართლებრივი წესრიგის არაკონსტიტუციურობის განმაპირობებელი ერთერთი ფაქტორი შეიძლება იყოს.

II. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და სასამართლოსადმი ნდობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული სიკეთე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არასდროს უმსჯელია, მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სამართლიანი სასამართლოს ურთიერთმიმართების შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ “სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები უნდა უჩენდნენ ადამიანებს იმის განცდას, რომ ისინი შეძლებენ საკუთარი უფლებების/კანონიერი ინტერესების სასამართლოში დაცვას, ამასთან, უნდა იწვევდნენ სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. გამჭვირვალე, სრულყოფილი, ადეკვატური და საკმარისი პროცედურები უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას, მათ საზოგადოებრივ აღიარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი და, საბოლოო ჯამში, მთლიანად ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და

განმტკიცებისათვის” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 59). სასამართლოსადმი ნდობის საკითხი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების დამოუკიდებელი უფლებრივი კომპონენტი, საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა შემდგომ გადაწყვეტილებებში და აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი ნდობის უფლება არ არის დამოკიდებული რომელიმე საპროცესო უფლების დარღვევაზე და განმარტა, რომ „სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს არა მხოლოდ ყველა საჭირო, საკმარისი და ადეკვატური პროცედურითა თუ გარანტიით სასამართლოს აღჭურვას, არამედ, იმავდროულად, გულისხმობს მის ასეთად აღქმადობას საზოგადოების და დავის მონაწილეთა მხრიდან. სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას, ცხადია, პირველ რიგში, განაპირობებს და უზრუნველყოფს სასამართლოს (მოსამართლეთა) ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ამასთან, გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის დამაჯერებელი ხარისხი. ამ თვალსაზრისით, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ინსტიტუტისადმი მხარეთა და, ზოგადად, საზოგადოების ნდობას, რომელიც ზემოაღნიშნულის გარდა სხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებითაც იქმნება.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-101). აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა არ დაუდგენია რომელიმე პროცესუალური უფლების დარღვევის გამო. სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმები მოსარჩელეს უჩენდა სასამართლოსადმი უნდობლობას რაც, თავისთავად, იწვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების მიმართ მნიშვნელოვნად განაპირობებს სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობა. სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის არსი არ უნდა გავაიგივოთ სასამართლოს ზოგად ღიაობასთან. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, არამხოლოდ სასამართლოს პრაქტიკის ზოგადი განვითარება არამედ ინდივიდუალური გადაწყვეტებიც. კერძოდ, რა გადაწყვეტა და რა არგუმენტაციით მიიღო სასამართლომ კონკრეტულ საქმესთან, იდენტიფიცირებულ პირთან მიმართებით. განსაკუთრებით გახმაურებულ, ე.წ პოლიტიკური დაინტერესების მქონე საქმეებთან მიმართებით, სადაც მნიშვნელოვნად მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი და ჩნდება კითხვები სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან და

კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა, ვფიქრობთ შემხებლობაში მოდის აგრეთვე სასამართლოსადმი ნდობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონსტიტუციურობის შეჯამების თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჯარო ინფორმაცია მოიცავს ინდივიდუალურ, რიგ შემთხვევებში, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით დამუშავებულ ინფორმაციას. ამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს ამ ინფორმაციის მიღების/გასაჯაროების ლეგიტიმური ინტერესი, ისევე როგორც აღნიშნული უფლების შეზღუდვის საფუძვლები. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ინფორმაციის საჯაროობა თავისთავად არის კონსტიტუციური უფლება, ამასთან გარკვეული სახის ინფორმაციის მიმართ შეიძლება არსებობს საჯაროობის მომეტებული ინტერესი - დამატებითი ლეგიტიმური ინტერესი „უბრალო საჯაროობის“ მიღმა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული „დამატებითი“ ლეგიტიმური მიზნები არ უნდა დარჩეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების მიღმა.

მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებულ აქტები სახელმწიფოში მართლმსაჯულების საერთო მდგომარეობის, ისევე როგორც ინდივიდუალურ გადაწყვეტების მართლზომიერების შეფასების მთავარი კრიტერიუმია. აღნიშნული აქტების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია გამჭვირვალობასთან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ზრდას, ახდენს სხვადასხვა რისკების პრევენციას. სასამართლოს აქტების განსაჯაროება და ინფორმაციული ვაკუუმის შექმნა, უარყოფითად აისახება მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ხარისხზე.

ვფიქრობთ, მოქმედი სამართლებრივი წესრიგი, უგულებელყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ ბუნებას, ამასთან, ადგენს არათანაზომიერ, არაპროპორციულ ბალანსს კონფლიქტურ ინტერესებს შორის, რაც მის არაკონსტიტუციურობას შეიძლება განაპირობებდეს.

შეჯამების სახით, შეუძლება ითქვას, რომ საერთოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის პრობლემები ვლინდება, როგორც პრაქტიკულ ისე ნორმატიულ დონეზე. სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით თითქმის უპირობო უპირატესობა ენიჭება პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც წარმოშობს ინტერესებს შორის ბალანსის

პრობლემას და შესაძლოა, არსებული რეგულირება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.